განმარტებითი ბარათი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია ის გარემოება, რომ უკანასკნელ პერიოდში გახშირდა ანონიმური ცრუ შეტყობინებები სხვადასხვა ობიექტებში ნაღმის არსებობის ან სხვა ექსტრემალური ვითარების შესახებ, რაც პირველ რიგში იწვევს მოსახლეობის სტრესს და მნიშვნელოვან ფინანსურ ზიანს აყენებს როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო ორგანიზაციებს. ამდენად, მსგავსი ტიპის სამართალდარღვევების პრევენციისთვის აუცილებელია პასუხისმგებლობის ზომების შემოღება, ხოლო რიგ შემთხვევებში - გამკაცრება.

საგანგებო (ექსტრემალური) სამსახურების გამოძახების ერთიანი სამნიშნა ნომერი - „112“-ის არამიზნობრივი გამოყენების შემთხვევებში მნიშვნელოვანი ზიანი ადგება სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს, ფერხდება „112“-ზე დაკავშირება იმ პირების მიერ, რომელთაც გადაუდებელი დახმარება რეალურად ესაჭიროებათ. გარდა ამისა, გადაუდებელი დახმარების საჭიროების შესახებ ცრუ შეტყობინებებზე შესაბამისი საგანგებო (ექსტრემალური) სამსახურების მიერ რეაგირების განხორციელებისას ასევე იხარჯება აღნიშნული სამსახურების მატერიალური რესურსი, რაც სხვა მოქალაქეებს უზღუდავს გადაუდებელი დახმარების დროულად მიღების შესაძლებლობას.

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი

კანონპროექტის მიღების მიზანია საგანგებო (ექსტრემალური) სამსახურების გამოძახების ერთიანი სამნიშნა ნომერი - „112“-ის განზრახ არამიზნობრივი გამოყენებისთვის ადმინიტრაციული პასუხისმგებლობის ზომის დადგენის გზით არამიზნობრივი (ცრუ) შეტყობინებების ეფექტური პრევენციის უზრუნველყოფა საქართველოში, როგორც ამას წარმატებით იყენებს ევროპის კავშირის მრავალი ქვეყანა (მაგ: გერმანია, ფინეთი, დიდი ბრიტანეთი, ჰოლანდია და ა.შ.).

ა.გ) კანონპროქტის ძირითადი არსი

წარმოდგენილი კანონპროექტით ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომა დგინდება საგანგებო (ექსტრემალური) სამსახურების გამოძახების ერთიანი სამნიშნა ნომერი - „112“-ის განზრახ არამიზნობრივი გამოყენების შემდეგი შემთხვევებისთვის:

ა) შეტყობინების ინიცირება შეტყობინების მიმღები პირისთვის შეურაცხყოფის მიყენების მიზნით ან სხვა შეურაცხმყოფელი განცხადებების გასაკეთებლად, ასევე

აღნიშნული ნომრის სისტემატური გამოყენება ერთსა და იმავე გარემოებასთან დაკავშირებით;

ბ) გადაუდებელი დახმარების მოთხოვნის მიზნით განზრახ ცრუ შეტყობინების განხორციელება, რომელსაც შედეგად მოჰყვა შესაბამისი საგანგებო (ექსტრემალური) სამსახურების მიერ შემთხვევის ადგილზე გასვლა.

წარმოდგენილი კანონპროექტით საგანგებო (ექსტრემალური) სამსახურების გამოძახების ერთიანი სამნიშნა ნომერი - „112"-ის არამიზნობრივი გამოყენების შემთხვევებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა და ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვა დელეგირებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებზე, ხოლო აღნიშნული ქმედების განმეორების შემთხვევაში - სასამართლოზე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

აღნიშნული პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯ-ების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი კანონპროექტით ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომად ფინანსური სანქცია გათვალისწინებულია ისეთი ქმედებისთვის, რომელიც აქამდე დასჯადი არ იყო, კანონპროექტის მიღებამ შეიძლება გარკვეული გავლენა მოახდინოს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, თუმცა კანონპროექტის მიზანს არ წარმოადგენს საბიუჯეტო შემოსულობების ზრდა.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება უშუალოდ გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება.

ბ.ე) კანონპროექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგი იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღებამ შეიძლება გარკვეული გავლენა იქონიოს ფინანსურ

შედეგებზე იმ პირთა მიმართ, რომლებზედაც გავრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი პრინციპი

კანონპროექტი არ ეხება ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას და არც არსებულ ოდენობაში ცვლილების შეტანას. პროექტი ადგენს მხოლოდ ჯარიმის განაკვეთებს, რაც სრულ შესაბამისობაშია ჩადენილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს სხვა ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრი თამაზ ავდალიანი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი თამაზ ავდალიანი.